ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

№	პროფესიული პროგრამა	საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მიმართულება, სპეციალობა/დარგი, პროფესიული სპეციალიზაცია	პროგრამის მოცულობა (კრედიტები)	სწავლის საფასური
1	გემბანის მეზღვაური	III გემბანის მეზღვაურის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	11 - მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები; 1110 - საზღვაოსნო მეცნიერებები (საზღვაო ნავიგაცია/გემის მექანიკა/ გემის ელექტრომექანიკა; 111051 - გემბანის რიგითი მეზღვაური.	60	1300
2	სამანქანე განყოფილების მეზღვაური	III სამანქანე განყოფილების მეზღვაურის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	11 - მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები; 1110 - საზღვაოსნო მეცნიერებები (საზღვაო ნავიგაცია/გემის მექანიკა/ გემის ელექტრომექანიკა; 1052 - სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური.	60	1300
3	გემის მზარეული	II მზარეულის II საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	01 - აგრარული მეცნიერებანი; 0104 - სასურსათო ტექნოლოგია; 010463 - მზარეული.	45	750
4	გემის ელექტრიკოსი	III ელექტრიკოსის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	04 - ინჟინერია; 0405 - ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია; 040557 - ელექტრიკოსი.	60	1300

საბუთების მიღების ვადები:

2014 წლის 20 მარტი - 10 აპრილი, ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა, 10.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე.

წარსადგენი საბუთები:

- პირადობის მოწმობის ასლი (თუ პირი არასრულწლოვანია - ასევე მისი კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი);
- მინიმუმ ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი);
- 2 ფოტოსურათი (3x4);
- განხხადება (თუ პირი არასრულწლოვანია - მისი კანონიერი წარმომადგენლის განცხადება);
- სამედიცინო ცნობა - ფორმა № IV-100/ა (ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში).

ყურადღება! შესაბამისი პროფესიული სტანდარტების თანახმად:

გემბანის რიგითი მეზღვაური – 111001

III საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის საფუძველზე (სწავლის გაგრძელებას უფრო მაღალ საფეხურზე შესაძლებელია მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დასრულების შემდგომ). IV საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვა განხორციელდება მხოლოდ სრული ზოგადი განათლებისა და მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონის საფუძველზე.

სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური - 111002

III საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის საფუძველზე (სწავლის გაგრძელება უფრო მაღალ საფეხურზე შესაძლებელია მხოლოდ სრული

ზოგადი განათლების დასრულების შემდგომ). IV საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვა განხორციელდება მხოლოდ სრული ზოგადი განათლებისა და მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონის საფუძველზე.

დამატებითი მოთხოვნები

საზღვაო სავაჭრო გემებზე დასაქმებით დაინტერესებულმა ყველა პირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის უფლების მოსაპოვებლად უნდა გაიაროს სპეციალური სამედიცინო შემოწმება (ფორმა № IV-100/ა) სამედიცინო ცენტრებში, რომელთაც აქვთ საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტის სათანადო აღიარება. სამედიცინო შემოწმების აუცილებლობა გამოწვეულია საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის სპეციფიკურობით და გათვალისწინებულია, როგორც საქართველოს კანონმდებლობით ასევე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტებით:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №215/ნ (11.07. 2007;
- International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978, as amended in 1995 (Consolidated Text) Regulation I/9; section B-I/9; Table B-I/9-1.

ტესტირება ჩატარდება 2014 წლის 14-15 აპრილს. ტესტირების ცხრილი გამოქვეყნდება ბნსუ-ს ვებ-გვერდზე.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:

ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი N 38
ტელეფონი: +995 790 29 25 25,
ფაქსი: + 995 322 25 42 32
E-mail: info@bntu.edu.ge